საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011756949378322

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 140684 **24 / აგვისტო / 2022 წ.**

მირანდა თეთრაძეს
(პირადი ნომერი: 01017047251)
მისამართი: თბილისი, თ. ბოჭორიშვილის 20

ქალბატონო მირანდა,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 15 აგვისტოს AskGov.ge-ს მეშვეობით წარმოდგენილი მომართვის (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში შემოსვლის ნომერია: 225908/17) პასუხად, რომლითაც მოითხოვთ ინფორმაციის გაცემას საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი მოიცავს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად რეგისტრირებულ სუბიექტთა მონაცემებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან. ამ კოდექსის თავდაპირველი რედაქციის 1511-ე მუხლის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე შექმნილი არაკომერციული იურიდიული პირები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას, ასეთის გაუვლელობის შემთხვევაში.

გაცნობებთ, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ელექტრონულ რეესტრში არსებული მონაცემები მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად რეგისტრირებულ საზოგადოებებს, რომელთა რაოდენობა შეადგენს 30226-ს (ოცდაათი ათას ორას ოცდაექვსი).

დამფუძნებლის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნაზე გაცნობებთ, რომ ვინაიდან კანონი არ განსაზღვრავს ელექტრონულ მონაცემებში რა სახის ინფორმაცია შეიძლება ასახოს და შეინახოს მარეგისტრირებელმა ორგანომ, რეგისტრაციის ელექტრონულ პროგრამაში, საწყის ეტაპზე, სუბიექტებზე ძირითადად აისახებოდა და ელექტრონულად ინახებოდა ის ინფორმაცია, რაც დადგენილია „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციით. ა(ა)იპ-ის შემთხვევაში, ამონაწერში დამფუძნებლები არ აისახება. ბაზების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, ეტაპობრივად, მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, სააგენტო საკუთარი ინიციატივით ამატებდა სხვადასხვა კატეგორიის საინფორმაციო ველებს, რომლებზე დატანილი ინფორმაციის ამონაწერზე გადასვლის ვალდებულებას კანონმდებლობა არ განსაზღვრავს. სწორედ აქედან გამომდინარე, ვინაიდან ა(ა)იპ-ის დამფუძნებელთა შესახებ მონაცემების ასახვა ელექტრონულ რეესტრში ხორციელდებოდა ეტაპობრივად, დამფუძნებლის თაობაზე ინფომაციის მოძიება შესაძლებელია ა(ა)იპ-ის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ სუბიექტთა იმ ნაწილში, რომლის დამფუძნებელთა მონაცემებიც ამ დროისთვის ასახულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ელექტრონულ რეესტრში.

რაც შეეხება საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით მოთხოვნილ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2016 წლის 24 ივნისს შესული ცვლილებების შესაბამისად, სააგენტო 2016 წლის 2 სექტემბრიდან აწარმოებს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრს, სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს მიერ 2016 წლის 28 ივლისის № 10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაცია ნებაყოფლობითია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 (ერთი) წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

გარდა ამისა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების

ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილების დანართი ითვალისწინებს საფასურისა და ვადის შემდეგ განაკვეთებს:

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან/ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან ინფორმაციის მომზადების საფასური 4 სამუშაო დღის ვადაში შეადგენს 13 ლარს (მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი); განცხადების შეტანის დღეს - 39 ლარს, ხოლო ერთი სამუშაო დღის ვადაში - 26 ლარს (მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი);

ამასთან, ზემოაღნიშნული საფასური გადაიხდევინება ერთეულ სუბიექტზე, გარდა სუბიექტის სამართლებრივი ფორმის, საიდენტიფიკაციო კოდისა და საფირმო სახელწოდების შესახებ ინფორმაციისა (პირველი მუხლის მე-8 პუნქტი).

ამრიგად, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად, წარმოსადგენია კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ერთ მონაცემთან ან/და თითოეულ სუბიექტთან დაკავშირებით. დამატებით გაცნობებთ, რომ ერთ მონაცემთან დაკავშირებით საფასურის გადახდის შემთხვევაში, საპასუხო კორესპონდენციაში აისახება ინფორმაცია 30 226 (ოცდაათი ათას ორას ოცდაექვსი) სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომრის, საფირმო სახელწოდების და სამართლებრივი ფორმის შესახებ; ხოლო, თითოეულ სუბიექტზე მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში მიიღებთ ინფორმაციას იურიდიული პირის სხვა მონაცემების თაობაზეც.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

საინფორმაციო სამსახურის უფროსი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი)

თათია გაწერელია